საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 24 0000012965

10/01/2024

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო სა განმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით

უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.5 აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 24 ივლისის №920622 და 3 აგვისტოს №961717 წერილებით წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 10 აგვისტოს №984585 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად.

2.3. ცენტრის 2023 წლის 06 ოქტომბრის №1322073 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 26 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.4. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.5. ზეპირი მოსმენა გაიმართა **2023 წლის 20 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:
3.1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბერი), 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.
3.2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3.3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12953 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3.4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, განხორციელებული პროგრამის ინტერდისციპლინურობის შეზღუდვა;
2. რეკომენდებულია, ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავება, რომელიც გაუადვილებს დოქტორანტებს საერთაშორისო პროექტებისა და კვლევითი გრანტების მოპოვებას;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაკორექტირდეს/განისაზღროს სადოქტორო საფეხურის შესაბამისი ცოდნის დონეები სასწავლო კურსების მიხედვით.
4. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად და ინტენსიურად ამოქმედება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის უწყვეტი განვითარება;
5. დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია გაიზარდოს მათი საერთაშორისომობილობა, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასათუ სასარგებლო ღონისძიებაში;
6. სასურველია დოქტორანტებთან ინტენსიური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა დაჩატარება;

7. დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია მოეწყოს შეხვედრები დაცული დისერტაციის ავტორებთან მათი სადისერტაციო თემის ირგვლივ, რათა ამ უკანასკნელებმა გაუზიარონ გამოცდილება;
8. სასურველია დოქტორანტების ინტერნაციონალიზაციის გააქტიურება: ერთის მხრივ,საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, მეორე მხრივ, სამეცნიერო პროდუქტიულობისმიმართულებით;
9. სასურველია დისერტაციის დაცვის პროცედურა იყოს რთული, რადგან დაცული ნაშრომებისდიდი რაოდენობა პროცესის ლოიალობაზე მიუთითებს;
10. სასურველია, რომ აკადემიურმა პერსონალმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოსგამოქვეყნებებს საერთაშორისოდ აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში, რაც ასევემოითხოვს ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნას;
11. სასურველია, რომ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის სიხშირისა დამოცულობის გაზრდა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროფილის გააქტიურებახელს შეუწყობს სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ხარისხსა და გამორჩეულკვლევით პროფილს;
12. კვლევითი საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისსამეცნიერო განვითარების გზით გააუმჯობესებს პროგრამის კონკურენტუნარიანობას დაშრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას;
13. გააგრძელეთ პროგრამის პერსონალის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოთ მათი სრულიჩართულობა, გააღრმავეთ მათი ცოდნა და უნარების დონე ხარისხის უზრუნველყოფისპროცესების შესახებ და, საერთოდ, გაზარდეთ ხარისხის კულტურა;
14. გააღრმავეთ პროგრამის ანალიზი გარე შეფასებისას;

რჩევები:

1. სასურველია, რომ სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის ყველა სწავლის შედეგი ვითარდებოდეს სამ დონეზე;
2. სასურველია შიდა გრანტების სისტემის შექმნა, რაც დოქტორანტებს გაუადვილებს კვლევისჩატარებას და სათანადო დაფინანსების მოპოვებას;
3. დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია გაიზარდოს მათი საერთაშორისომობილობა, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა თუ სასარგებლო ღონისძიებაში;
4. სასურველია დოქტორანტებთან ინტენსიური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა დაჩატარება;
5. დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია მოეწყოს შეხვედრები დაცული დისერტაციის ავტორებთან მათი სადისერტაციო თემის ირგვლივ, რათა ამ უკანასკნელებმა გაუზიარონ გამოცდილება;
6. სასურველია დოქტორანტების ინტერნაციონალიზაციის გააქტიურება: ერთის მხრივ,საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, მეორე მხრივ, სამეცნიერო პროდუქტიულობის მიმართულებით;
7. ასურველია, გადაიხედოს დისერტაციის დაცვის პროცედურა.
8. სასურველია, რომ აკადემიურმა პერსონალმა პრიორიტეტი მიანიჭოს გამოქვეყნებებს საერთაშორისოდ აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში, რაც ასევე მოითხოვს ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნას;
9. სასურველია, რომ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის სიხშირისა და მოცულობის გაზრდა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროფილის გააქტიურება ხელს შეუწყობს სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ხარისხსა და გამორჩეულ კვლევით პროფილს;

10. სასურველია, კვლევითი საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების სამეცნიერო განვითარების გზით გააუმჯობესებს პროგრამის კონკურენტუნარიანობას და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას;
11. სასურველია გაგრძელდეს პროგრამის პერსონალის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული ჩართულობა, გაღრმავდეს მათი ცოდნა და უნარების დონე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შესახებ, გაიზარდოს ხარისხის კულტურა;
12. სასურველია გაღრმავდეს პროგრამის ანალიზი გარე შეფასებისას;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 20 დეკემბერს.
6. მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2 წელი 2025 წლის 20 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი N1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები Social Sciences
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 14 იანვრის №22216 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი Doctor of Social Sciences
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას77, თბილისი, VI კორპუსი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 20 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგის განხორციელების ვადა	2 წელი, 2025 წლის 20 დეკემბერი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი